

წყალი მნიშვნელოვანია!

კონსულტაცია ალაზანი-იორის მდინარეთა აუზის უბნისათვის

ალაზანი-იორის მდინარეთა აუზის უბანი



საქართველო
ალაზანი-იორი
მდ. მტკვარის/კასპიის ზღვის აუზი
ფართობი 16,500 კმ ²
350,000 მოსახლე
ძირითადი შენაკადები: ილტო, ხოდაშენისხევი, სტორი, ქისისხევი, ჭერმისხევი, ლოპოტა, ლაკბე, ოლე

ამჟამად მიმდინარეობს ალაზანი-იორის მდინარეთა აუზის უბნის მართვის გეგმის შემუშავება. ამასთან დაკავშირებით, თქვენ, შეგიძლიათ გამოთქვათ თქვენი აზრი. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროცესი, მომავალში განსაზღვრავს ძირითად ქმედებებს, რომელიც თქვენს აუზში(ებში) უნდა განხორციელდეს, რათა წყლის რესურსები დავიცვათ ჭარბი მოხმარებისა და დაბინძურებისგან. ღონისძიებები, რომელთა შემუშავებაც ახლა მიმდინარეობს, ასევე ემსახურება წყლის რესურსების მართვისა და მონიტორინგის გაუმჯობესებას, მდგრადი განვითარებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მისაღწევად.

როგორ შეუძლია მდინარის აუზის მართვის გეგმას წყლის რესურსების დაცვა?

მდინარის აუზი დამკვიდრებული ერთეულია წყლის რესურსების მდგრადი მართვისთვის. რადგანაც, სურსათის უსაფრთხოების, ეკონომიკური განვითარების, ენერგო-წარმოებისა და კლიმატის ცვლილების ყველა გამოწვევის ამოსავალი წერტილი წყალია, მდინარის აუზის დონეზე წყლის რესურსების მართვის დაგეგმვისას მაქსიმალურად უნდა მოხდეს ამ კონკურენტი წყალმოსარგებლე სექტორების კოორდინირება, რათა ვიპოვოთ ბალანსი სოციალურ მოლოდინებსა და გარემოსდაცვით მიდგომას შორის.

გაგვიზიარეთ თქვენი აზრი!

□ამ კითხვარის შევსებით, თქვენ თანახმა ხართ, რომ თქვენი პირადი მონაცემები გამოყენებული იქნება EUWI+ პროექტის კოორდინატორის, IOWater მიერ. შეგროვებული ინფორმაცია არ იქნება გამოყენებული ნებისმიერი სხვა მიზნით, შეინახება პროექტის განმავლობაში (2016-2021) და დაარქივდება პროექტის დასრულებიდან ხუთი წლის მანძილზე (ევროპული აუდიტის შემთხვევაში). თქვენი მონაცემების მართვისა და თქვენი უფლებების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ჩვენს [იურიდიული განცხადების გვერდს](#).



1. თუ შეგიძლიათ, მონიშნეთ, თქვენი აზრით რომელია 3 ყველაზე დიდი გამოწვევა ალაზანი-იორის მდინარეთა აუზისთვის


- წყლის ხარისხის გაუარესება დაბინძურების წერტილოვანი წყაროდან (გაუწმენდავი ურბანული ჩამდინარე წყლები; ნარჩენების მდინარეში ჩაყრა);
- წყლის ხარისხის გაუარესება დაბინძურების დიფუზიური წყაროდან (სოფლის მეურნეობა (მემცენარეობა, მეცხოველეობა) და სხვა ისეთი ზეწოლები, როგორცაა სტიქიური ნაგავსაყრელები);
- ჭარბი წყალაღება / წყლის რესურსების ჭარბი გამოყენება;
- ჰიდრო-მორფოლოგიური ცვლილებები (ჰიდროლოგიური ნაკადის ცვლილებები, მდინარისა და ჰაბიტატების გრძივი უწყვეტობის დარღვევა, მორფოლოგიური ცვლილებები)
- გავლენა კლიმატის ცვლილებაზე, წყალდიდობების ჩათვლით;
- წყლის რესურსების მართვის გაუმჯობესება, წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის პრაქტიკის დანერგვის მისაღწევად.

2. შეაფასეთ თითოეული ღონისძიება, რომელიც მოცემულია ალაზანი-იორის მდინარეთა აუზის მართვის გეგმაში, 1-იდან 3 ქულამდე, სადაც 1 ნიშნავს მაღალს, 2 საშუალოს ხოლო 3 დაბალს.

გამოწვევა	ღონისძიება	1, 2, 3?
<p>წყლის ხარისხის გაუარესება დაბინძურების წერტილოვანი წყაროდან (გაუწმენდავი ურბანული ჩამდინარე წყლების წყალჩამკვება, ნარჩენების მდინარეში ჩაყრა);</p>	საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ახალი გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა	
	წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემის მოწყობა/რეაბილიტაცია	
	ჩამდინარე წყლების მდინარეებში ჩაშვების კონტროლის გაუმჯობესება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ	
	ნარჩენების მართვის მომსახურების ეფექტური გადასახადის დაწესება	
	სტიქიური ნაგავსაყრელების მონიტორინგი (უნდა განხორციელდეს მუნიციპალიტეტების მიერ), ნარჩენების უკანონო განთავსებაზე კანონდარღვრების მექანიზმების გაძლიერება (კონტროლი და სანქციების), ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება	
წყლის ხარისხის გაუარესება დაბინძურების დიფუზიური წყაროდან (სოფლის მეურნეობა და სხვა ისეთი ზეწოლები,	სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გაუმჯობესება წყლის დაბინძურებისგან დასაცავად (სოფლის მეურნეობის სწორი პრაქტიკის კოდექსი, სასოფლო-სამეურნეო	

<p>როგორცაა სტიქიური ნაგავსაყრელები);</p>  	<p>კულტურების დაცვა, ბუნებრივი სასუქის (ნაკელის) მართვა, , ფერმერების ტრენინგი) ორგანული ფერმების დაარსება ვერმიკომპოსტის წარმოება (ბიო ჰუმუსი) ბიოგაზის საწარმოების მოწყობა შინამეურნეობებისთვის, ან მთლიანი მუნიციპალიტეტისთვის წყალდაცვით ზოლებში საქონლის ძოვების არიდება, ალტერნატიული ადგილების გამოყოფის გზით სადრენაჟე სისტემების რეაბილიტაცია წყლისმიერი ეროზიის შესამცირებლად ბუნებრივი ბუფერული ზოლებისა (3 მეტრი) და ღობეების მოწყობა სანიტარული დაცვის ზონების გამოყოფა სასმელი წყლის წყალაღების წერტილებში წყლის ხარისხის დასაცავად სოფლის განვითარების სტრატეგია მცირე ფერმერების ხელშესაწყობად</p>	
<p>ჭარბი წყალაღება / წყლის რესურსების ჭარბი გამოყენება;</p>  	<p>საირიგაციო სისტემების მაგისტრალური არხების, ჰიდროტექნიკური ნაგებობებისა და კოლექტორების რეაბილიტაცია თანამედროვე და ეფექტური საირიგაციო ტექნოლოგიის გამოყენება წყალსარგებლობის შესამცირებლად არსებული წყალაღების პრაქტიკის მდგრადობის დონის უზრუნველყოფა (ალტერნატიული მარაგების შექმნა, ან უფრო ეფექტური წყალსარგებლობის მიღწევა) წყალაღების კონტროლი და რეგულირება წყლის ობიექტის სტატუსის გაუარესების პრევენციისთვის (წყალაღების ლიცენზირების სისტემის კონტროლი) ფერმერების ტრენინგი წყლის რესურსების ეფექტურად გამოყენებაში სარეკლამო კამპანია, შინამეურნეობების მიერ წყლის რესურსების ეფექტურად გამოყენების წასახალისებლად საგადასახადო სისტემის შექმნა ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყალაღებისთვის</p>	
<p>ჰიდრო-მორფოლოგიური ცვლილებები (ნაკადები, უწყვეტობა, ჰაბიტატები)</p>	<p>ჰიდროლოგიური ნაკადის ცვლილებების, მდინარისა და ჰაბიტატების გრძივი უწყვეტობის დარღვევისა და</p>	

	<p>მორფოლოგიური ცვლილებების გაუმჯობესება ჰიდროლოგიური მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესების გზით.</p>	
	<p>წყლის საშუალო დინების შენარჩუნება</p>	
	<p>მდინარის ნაპირებისა და კალაპოტის სტრუქტურის გაუმჯობესება და დივერსიფიკაცია, ჭალისა და სახეშეცვლილი სანაპირო ჰაბიტატების აღდგენა.</p>	
	<p>გარემოსდაცვითი ხარჯის დონის შესაფასებელი მეთოდოლოგიის შემუშავება</p>	
	<p>წყალაღების მოცულობის გადახედვა, გარემოსდაცვითი ხარჯის დონის გათვალისწინებით</p>	
	<p>რეგულაციისა და ტექნიკური სახელმძღვანელოს/ნორმატიული აქტის შემუშავება მდინარიდან ქვიშა-ხრემის ამოღების თაობაზე</p>	
	<p>გამოძიებითი მონიტორინგის შეთავაზება ქვიშა-ხრემის მომპოვებელი საწარმოების შემოწმების მიზნით (ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების შემოწმება და შეწონილი ნაწილაკების ფარდობითი წილის შეფასება)</p>	
	<p>ბუნებრივი დატბორვის რეჟიმის აღდგენა მდინარე იორის ქვემო წელში, ბუნებრივი დატბორვის სიმულაცია დალის წყალსაცავის პერიოდული გაშვებით</p>	
<p>დალის წყალსაცავის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (მაგალითად ჩამკეტი ფარების რესტავრაცია)</p>		
<p>გავლენა კლიმატის ცვლილებაზე, წყალდიდობების ჩათვლით;</p> 	<p>ჭალის ტყეების აღდგენა</p>	
	<p>მიწის მართვის გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება კახეთის რეგიონში, რომელიც, მონიტორინგის შემდეგ, კლიმატის ცვლილების ადაპტაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება იქნება</p>	
	<p>კლიმატის ცვლილების გავლენის გათვალისწინება წყალმომარაგების კომპანიებისთვის წყლის მოთხოვნის/ მიწოდების ბალანსის გამოთვლისას</p>	
<p>კვლევის ჩატარება კლიმატის ცვლილების არსებული და შესაძლო გავლენის შესაფასებლად წყლის რესურსებზე</p>		

<p>წყლის რესურსების მართვის გაუმჯობესება წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის პრაქტიკის დანერგვის მისაღწევად.</p> 	წყლის კანონის მიღება	
	ნორმატიული აქტის შემუშავება წყლის ობიექტების ეკოლოგიური და ქიმიური სტატუსის განმარტებისთვის	
	წყლის რესურსების მონიტორინგის პროგრამისა და გარემოსდაცვითი ინსპექტირების განხორციელება	
	გარემოსდაცვითი ზედამხედველობის ეროვნული და რეგიონული ინსპექტირების გაძლიერება	
	წყლის ხარისხისა და მოცულობის კონტროლი და მონიტორინგი	
	ჰიდროლოგიური მონიტორინგის სისტემის გაძლიერება	

3. ზოგადად ეთანხმებით შემოთავაზებულ მთავარ ღონისძიებებს?

დიახ ნაწილობრივ ბოლომდე არ ვეთანხმები არ ვეთანხმები

4. ხომ არ ფიქრობთ, რომ რომელიმე სექტორში უფრო მეტი ძალისხმევის გაწევაა საჭირო, გარდა ამ კითხვარში ჩამოთვლილი ღონისძიებებისა?

დიდი მადლობა! ბოლო 5 შეკითხვა, რათა შევძლოთ თქვენი პასუხების გამოყენება

თქვენი თემა (საფოსტო ინდექსი)

ასაკი:

სქესი: მდედრობითი მამრობითი

სექტორი, რომელშიც მუშაობთ/პროფესია:

საიდან გაიგეთ მდინარის აუზის მართვის გეგმის საკონსულტაციო შეხვედრის შესახებ?

სამინისტროს ვებ გვერდი EUWI+ ვებ გვერდი პრესა
სოციალური ქსელი ნათესავები სხვა

თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი, თუ გასურთ, ინფორმირებული იყოთ განვითარებული მოვლენების შესახებ: